მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 60

ქ.გორი

8 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ გორის N3 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის ნანული ნინოშვილის სახით და მეორეს მხრივ, აუდიტორი ილია ბორეცი, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ილია ბორეცის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია აუდიტორული მომსახურების შესყიდვა (CPV: 79200000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი – ქ.გორი დ.ამილახვრის ქ#26.

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

სკოლის შენობაში არსებული გასაქირავებელი ფართის აუდიტორული შეფასება;
1.სკოლის შენობის მეორე სართულზე მდებარე არასტანდარტული ფორმის ოთახი, ფართი 31,8კვ.მ. 2016 წლის 30 დეკემბრიდან 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.საკაბელო ტელევიზიისათვის, აღნიშნულ ფართში არ არის სკოლის მოძრავი ქონება და იზოლირებულია ცალკე ერთი შესასვლელი კარით.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ გორის №3 საჯარო სკოლის დირექტორი ვახტანგ სუხიტაშვილი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,02%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების

მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ გორი №-3 საჯარო სკოლა ს/კ 217886928 მის: ქ. გორი, დ.ამილახვრის ქ.#26 ტელ: 0370274847 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბანკის კოდი UGEBGE22 ა/ა GE73VT0200000003443408 დირექტორი : ვახტანგ სუხიტაშვილი _____ (ხელმოწერა)	**მიმწოდებელი:** აუდიტორი ილია ბორეცი ს/კ 59001011678 მის.: გორი სტალინის ქ #26 ტელ.: 0370 27-03-06 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE44BG0000000273298100 დირექტორი; ილია ბორეცი _____ (ხელმოწერა)

მიღება- ჩაბარების აქტი

ქ.გორი

09. 12. 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერმა, ერთის მხრივ სსიპ გორის #3 საჯარო სკოლის დირექტორის ვახტანგ სუხიტაშვილის სახით და მეორეს მხრივ აუდიტორი ილია ბორეცის სახით შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ მეორე მხარემ მოამზადა აუდიტორული დასკვნა სკოლის შენობაში არსებული გასაქირავებელი ფართის შესახებ, და გადასცა პირველ მხარეს . რაზეც სკოლა ვალდებულია გადარიცხოს 70 (სამოცდაათი) ლარი .

აქტი შედგენილია ჩვენს მიერ, სწორეა და ხელს ვაწერთ:

სსიპ ქ.გორის #3 საჯარო

სკოლის დირექტორი : /ვ.სუხიშვილი/

აუდიტორი: /ილია ბორეცი/

ანგარიშ ფაქტურა (ინვოისი) № 80/12

გაწეულ მომსახურებაზე (შესრულებულ სამუშაოზე)

„09" დეკემბერი 2016 წ.

განყიდველი: 59001011678
საიდენფიკაციო ნომერი

დასახელება: აუდიტორი

ილია ბორეცი

მისამართი: ქ. გორი

სტალინის ქ. №26

ტელეფონი: 27-03-06

საბანკო ა/ა GE44BG0000000273298100

რეკვიზიტები სს„საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22

მყიდველი: 217886928
საიდენტიფიკაციო ნომერი

დასახელება: სსიპ გორის №3 საჯარო სკოლა

მისამართი: გორი რუსთაველის 26

ტელეფონი: _____

საბანკო _____

რეკვიზიტები _____

№	გაწეული მომსახურების ან შესრულებული სამუშაოს დასახელება	თანხა (ლარი)
1	ფინანსური აუდიტი საჯარო სკოლის ბიუჯეტზე	70
2		
3		

სულ ასანაზღაურებელია: ოთხმოცდაათი ლარი

ასანაზღაურებელი თანხა სიტყვებით:

გადახდის თარიღი: _____

გაყიდვის პირობები: _____

ხელმძღვანელი: _____

მყიდველს ჩაბარდა ხელზე: _____

მყიდველს გაეგზავნა ფოსტით: _____

შენიშვნა: „გამყიდველი" არ წარმოადგეს დღგ-ს გადამხდელს

VTB

საგადახდო დავალება
Payment Order

440

თარიღი/Date 13/12/2016

გადამხდელი სახელი /Payer name	LEPL-GORI PUBLIC SCHOOL N3, 217886928
ანგარიში/Account from	GE73VT0200000003443408
გადამხდელის ბანკის დასახელება/Payer bank name	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
მიმღები ბანკის კოდი/Payer bank code	UGEBGE22

ინფორმაცია ფიზიკურ პირზე რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა/
Information about the person on behalf of which the payment is carried out

დასახელება/Denomination	LEPL-GORI PUBLIC SCHOOL N3, 217886928
გადამხდელის მონაცემები /Tax payer code	217886928
მიმღების დასახელება/Receiver name	ილია ბორეცი
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი Receiver account/Treasury code	GE44BG0000000273298100
მიმღების ბანკი/სახაზინო კოდი Receiver bank/Treasury	სს "საქართველოს ბანკი"
მიმღების ბანკის კოდი/Receiver bank code	BAGAGE22
დანიშნულება/ Purpose	აუდიტორული დასკვნის ღირებულება ტელევიზია
დამატებითი ინფორმაცია/Additional info	

თანხა Amount
70.00 / GEL
თანხა სიტყვებით / Amount in words
სამოცდაათი ლარი და ნული თეთრი / seventy lari and zero tetri
ბანკის აღნიშვნები Bank Signs
ბანკში რეგისტრაციის თარიღი / Date into bank
13/12/2016
თარიღი / Transaction date
13/12/2016
ხელმოწერა/Signature
შტამპის ადგილი Place for Stamp

ხელმოწერები/Signatures

ბ.ა./Place for Seal

სს ვითიბი ბანკი ჯორჯია VTB
UGEBGE22
მიღებულია ინტერნეტ ბანკით
RECEIVED BY INTERNET BANKING